

# საქართველოს მთავრობის

## დადგენილება №233

2024 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

„მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში (სსმ, №155, 29/11/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის“:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი მომსახურება.“.

2. 7<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით მომსახურებისა და სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი მომსახურების შერჩევითი კონტროლი ხორციელდება სააგენტოს მიერ საქმიანობის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვის განმავლობაში.“.

3. 7<sup>3</sup> მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7<sup>4</sup> მუხლი:

„მუხლი 7<sup>4</sup>. სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულება ვალდებულია, 2025 წლის 1 იანვრამდე თავისი საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ დამატებით პირობებთან და შეტყობინება საქმიანობის დაწყების თაობაზე წარადგინოს სააგენტოში.“.

4. მე-13 მუხლით განსაზღვრული ცხრილის XIII თავის („პირობები ქიმიოთერაპიული მომსახურების მიმწოდებელთათვის“):

ა) პირველი პუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) ერთ დაწესებულებაში ქიმიოთერაპიული სერვისის რამდენიმე ერთეულის (მათ შორის, ამბულატორიული და სტაციონარული) არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი სარეგისტრაციო სივრცის გამოყენება.“;

ბ) მე-2 პუნქტს შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„ერთ დაწესებულებაში ქიმიოთერაპიული სერვისის რამდენიმე ერთეულის (მათ შორის, ამბულატორიული და სტაციონარული) არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი მოსაცდელი სივრცის გამოყენება.“;

გ) მე-4 პუნქტის 4.11 პუნქტის შენიშვნის გრაფას დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) შესაძლებელია სანიტარიული კვანძის განთავსება დარბაზის შესასვლელის მიმდებარედ.“;



**დ) მე-5 პუნქტს შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:**

„ერთ დაწესებულებაში ქიმიოთერაპიული სერვისის რამდენიმე ერთეულის (მათ შორის, ამბულატორიული და სტაციონარული) არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი ასეთი ოთახის არსებობა, საიდანაც გახსნილი მედიკამენტების საპროცედუროში ტრანსპორტირება ხორციელდება დროულად, სპეციალური სატრანსპორტო კონტეინერებითა და პროტოკოლით გაწერილი ფიქსირებული მარშრუტით (სერვისების სხვადასხვა სართულზე განთავსების შემთხვევაში, თუ დაშორება 2 და მეტი სართულია, მედიკამენტების ქიმიოთერაპიული სერვისების სივრცეებს შორის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული უნდა იქნეს ლიფტი) ფარმაკო-ქიმიური თვისებების შენარჩუნებისა და სტერილობის დარღვევის პრევენციის უზრუნველყოფით.“;

**ე) მე-5 პუნქტის 5.1 და 5.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5.1	დერეფნიდან/ერთეულის სხვა სივრცეებიდან გამოყოფილია რაბით (ოთახში პერსონალის მოსახვედრად)	სავალდებულოა 2024 წლის 1 სექტემბრიდან
5.2	ვენტილაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სათავის ჰაერის მაქსიმალურ სისუფთავეს, უარყოფითი წნევითა და HEPA ფილტრებით	სავალდებულოა 2024 წლის 1 სექტემბრიდან“;

**ვ) მე-5 პუნქტის 5.3 პუნქტს შენიშვნის გრაფაში დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:**

„აღნიშნული პირობის დასაკმაყოფილებლად მედიკამენტების გასაცემად დამოუკიდებელი კარის/ფანჯრის არარსებობისას, ნაკადების მართვის უზრუნველყოფისთვის შესაძლებელია სათანადო პროტოკოლის (მათ შორის, დროში გამიჯვნის) გამოყენება.“;

**ზ) მე-14 პუნქტის შენიშვნის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„არ არის სავალდებულო:

- ა) სტაციონარული დაწესებულებისთვის (გადაუდებელი დახმარების (EMERGENCY)/რეანიმაციის სერვისის არსებობის შემთხვევაში) ან მათ შენობაში განთავსებული დიალიზის ამბულატორიული სერვისის მიმწოდებლებისთვის;
- ბ) მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის, რომლებსაც აქვთ გადაუდებელი დახმარების (EMERGENCY) განყოფილება/ერთეული/მომსახურება.“.

**5. მე-13 მუხლით განსაზღვრულ ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის XIV თავი:**

„XIV	<p style="text-align: center;"><b>პირობები სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი მომსახურების მიწოდების შემთხვევაში</b></p> <p>სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი მომსახურება მოიცავს ექიმის/მულტიდისციპლინური გუნდის მიერ გულისსხლოძღვა, სასუნთქი, საჭმლის მომხელეული, საყრდენ-მამოძრავებელი, ნერვული და სხვა სისტემების დაავადებებისა და ტრავმული დაზიანებების მქონე პაციენტის ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო პროგრამის მართვის გეგმის შემუშავებას, ფიზიკური ფაქტორების შერჩევას და/ან სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელებას</p>	<p style="text-align: center;"><b>XIV ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება:</b></p> <p>ა) სარელაქსაციო-გამაჯანსაღებელი სერვისების მიმწოდებელ არსამედიცინო დაწესებულებებზე (სარელაქსაციო მასაჟი/წყლის პროცედურები/ცურვა/წყლის აბაზანები და სხვ.);</p> <p>ბ) სოციალური რეაბილიტაციის, ბავშვთა ადრეული ინტერვენციის/განვითარებისა და აბილიტაციის/რეაბილიტაციის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებზე;</p> <p>გ) ფიზიკური მედიცინის, რეაბილიტაციისა და კურორტოლოგიის ექიმ-სპეციალისტის კაბინეტზე (თუ იგი ახორციელებს მხოლოდ საკონსულტაციო სამედიცინო მომსახურებას)</p>
------	--	--



1	<p><b>საპროცედურო სივრცე(ები)</b> – პროცედურებთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სერვისებისთვის, როგორებიცაა: სამკურნალო მასაჟი, მანუალური თერაპია, ფიზიოთერაპია, ინჰალაცია და სხვა პროცედურული სერვისები, რომლებიც საჭიროებს დამოუკიდებელ საწოლს/სავარძელს</p>	<p>ა) სავალდებულოა პროცედურებთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სერვისების არსებობის შემთხვევაში;</p> <p>ბ) სულ მცირე 1 – არანაკლებ 12 კვ/მ სივრცისა;</p> <p>გ) რამდენიმე სხვადასხვა სახეობის პროცედურის ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს როგორც იზოლირებული სივრცეები, ასევე სივრცობრივი ზონირების პრინციპი, საჭიროებისას, ზონების გამიჯვნა შესაძლებელია ტიხრებით (შირმა, თეჯირი);</p> <p>დ) 3-ზე მეტი პაციენტის მომსახურებისთვის განკუთვნილ სივრცეში თითოეულ პაციენტზე დამატებით სავალდებულოა არანაკლებ 4 კვ/მ ფართობისა</p>
2	<p>ექიმის/რეაბილიტაციის სპეციალისტის საკონსულტაციო სივრცე(ები), ფართობით არანაკლებ 12 მ<sup>2</sup>-ისა</p>	<p>საკონსულტაციო სივრცე(ებ)ის ჯგუფური თერაპიული სივრცის მიზნით გამოყენების შემთხვევაში, სავალდებულოა არანაკლებ 4 კვ/მ ფართობისა ყოველ დამატებით პაციენტზე</p>
3	<p><b>სარეაბილიტაციო სივრცე (სივრცეები)</b> – ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სერვისებისთვის, როგორებიცაა: ფიზიკური მედიცინა – სამკ. ვარჯიში, აპარატურული კინეზოთერაპია და სხვა მომსახურებები, რომლებიც საჭიროებს სივრცეს სავარჯიშო/ფიზიკური აქტივობებისთვის</p>	<p>ა) სავალდებულოა ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სერვისების არსებობის შემთხვევაში;</p> <p>ბ) სულ მცირე 1 – არანაკლებ 12 კვ/მ-ისა;</p> <p>გ) რამდენიმე სხვადასხვა სახეობის სარეაბილიტაციო სერვისის ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს როგორც იზოლირებული სივრცეები, ასევე სივრცობრივი ზონირების პრინციპი, საჭიროებისას, ზონების გამიჯვნა შესაძლებელია ტიხრებით (შირმა, თეჯირი);</p> <p>დ) 1-ზე მეტი პაციენტის მომსახურებისთვის განკუთვნილ სივრცეში თითოეულ პაციენტზე დამატებით სავალდებულოა არანაკლებ 4 კვ/მ ფართობისა</p>
4	<p>მოსაცდელი სივრცე (ჰოლი, დერეფანი)</p>	<p>მომლოდინე პაციენტებისთვის, ასევე მათი ახლობლებისათვის</p>
5	<p>სველი წერტილი (ტუალეტი, ხელსაბანი)</p>	<p>ა) შესაბამისი სათავსების ერთზე მეტ სართულზე განლაგების შემთხვევაში, სველი წერტილი (ტუალეტი, ხელსაბანი) ყველა სართულზე;</p> <p>ბ) ადაპტირებული სველი წერტილი შუამ პირებისთვის ყველა სართულზე, სადაც ხდება აღნიშნული სერვისის მიწოდება</p>
6	<p>უნდა იყოს ოთახ(ებ)ი მომსახურე პერსონალისათვის</p>	<p>სავალდებულოა ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებულ სეანსებში ჩართული პერსონალისთვის (ტანსაცმლის გამოსაცვლელი/მოსასვენებელი)</p>
7	<p>უნდა იყოს ფუნქციონირებადი ლიფტი და პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის</p>	<p>შესაბამისი სათავსების ერთზე მეტ სართულზე განლაგების შემთხვევაში</p>
8	<p>ჰიდროთერაპიული აუზის არსებობის შემთხვევაში</p>	<p>არ ვრცელდება ბუნებრივი მინერალური წყლების ან სამკურნალო ტალახის გამოყენებისთვის განკუთვნილ აუზებზე</p>
8.1	<p>აუზის ფართობი 1 პაციენტზე 2 მX2 მ</p>	
8.2	<p>სიღრმე 80 სმ-დან 1,5 მეტრამდე, კონტინენტის სიმაღლის გათვალისწინებით</p>	
8.3	<p>აუზის პანდუსის სიგანე არანაკლებ 1,2 მ-ისა</p>	<p>ასეთის არსებობის შემთხვევაში</p>



8.4	აუზს უნდა ჰქონდეს ამწე მოწყობილობა, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტების აუზში მოთავსებისთვის/აუზიდან ამოყვანისთვის	
8.5	აუზში წყლის ტემპერატურა უნდა იყოს 30-35 <sup>0</sup> C	
8.6	აუზის მიმდებარედ უნდა იყოს გასახდელი/გამოსაცვლელი ოთახ(ებ)ი პაციენტებისა და პერსონალისთვის	ადაპტირებული გასახდელი/გამოსაცვლელი ოთახი შშმ პაციენტებისთვის
9	ბუნებრივი მინერალური წყლების ან სამკურნალო ტალახის გამოყენებისთვის განკუთვნილი აუზების/აბაზანების/ მაგიდების/ზედაპირების არსებობის შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს, საჭიროების შემთხვევაში, პაციენტის მიერ სერვისის მისაღებად/ გადაადგილებისთვის საჭირო მექანიკური/ელექტრო ამწე მოწყობილობა/გადაადგილების საშუალება	ასეთი მომსახურების არსებობის შემთხვევაში
10	რენტგენოლოგიური სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია, განხორციელდეს ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე
11	ულტრაბგერითი გამოკვლევის უზრუნველყოფა	შესაძლებელია, განხორციელდეს ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე
12	ლაბორატორიული სერვისის უზრუნველყოფა	შესაძლებელია, განხორციელდეს ასეთი მომსახურების სხვა მიმწოდებელთან ხელშეკრულების საფუძველზე
13	მომსახურების მიმწოდებელმა დაწესებულების/ერთეულის მთელ ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის	დერეფნისა და კარის სიგანე უნდა იძლეოდეს ეტლის გადაადგილების შესაძლებლობას
14	განათებისა და სტაბილური ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფა	
15	უწყვეტი ელექტრომომარაგება	ელექტროენერჯის ავტონომიური წყარო
16	უწყვეტი წყალმომარაგება	მათ შორის, ცხელი წყლით მომარაგება
17	დაწესებულებაში/ერთეულში უნდა იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები	ა) პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებისა და სამედიცინო აღჭურვილობის სავალდებულო ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით;  ბ) ჰიდროთერაპიული აუზისა და ფიზიკური აქტივობის სივრცეების არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებაში/ერთეულში უნდა იყოს დეფიბრილატორი
18	უნდა არსებობდეს სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და აღჭურვილობის შესანახ(ებ)ი (მათ შორის, კარადები)	
19	სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი საქმიანობისთვის გამოყენებულ მინერალურ წყალს/სამკურნალო მიზნით გამოყენებულ ტალახს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული მოპოვების ლიცენზია და რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების სახელმწიფო ნუსხაში	ასეთი მომსახურების არსებობის შემთხვევაში
20	დაწესებულებას/ერთეულს უნდა ჰყავდეს ექიმი – ფიზიკური მედიცინის, რეაბილიტაციისა და კურორტოლოგიის სპეციალისტი	
21	ფიზიკური თერაპიის (ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია) და ოკუპაციური თერაპიის სერვისის მიწოდების შემთხვევაში, შესაბამისი დიპლომირებული სპეციალისტები	ფიზიკური თერაპიის (ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია)/ოკუპაციური თერაპიის სერვისის მიწოდების შემთხვევაში, დღეში არაუმეტეს 10 პაციენტისა 1 სპეციალისტზე ინდივიდუალური მუშაობისას, არაუმეტეს 25 პაციენტისა, ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში



22	საექთნო მომსახურება	ექთნების რაოდენობა და სამუშაო ადგილებზე განაწილება განისაზღვრება დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით
23	სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სერვისის ფარგლებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი (ექიმები, ექთნები) და ფიზიკური და ოკუპაციური თერაპიის სპეციალისტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მონაწილეობდნენ მზადების პროგრამებში გულის გაჩერებისას პირველადი სამედიცინო დახმარებისა და გადაუდებელი მდგომარეობების მართვის მიმართულებით (როგორც მოზრდილთა, ასევე ბავშვთა ასაკის)	2 წელიწადში ერთხელ  სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს 2025 წლის 1 იანვრიდან
24	ერთეულში/დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავს შესაბამისი გამოსავლების იდენტიფიცირებისა და გაზომვის საშუალებას	ა) სტანდარტები და კრიტერიუმები რეაბილიტაციის პროგრამისა და მიწოდებული სერვისის ხარისხის შეფასებისთვის, ასევე გამოყენებული რესურსების შესაბამისობის განსაზღვრისთვის;  ბ) სარეაბილიტაციო გამოსავლების შეფასება;  გ) სარეაბილიტაციო გამოსავლების შედეგების ანალიზი;  დ) შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, ექიმის/მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამებისა და სერვისების მუდმივი გადახედვა/განახლება.“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

